ფინიშის სწორზე

ვ.ი. ლენინის სახელობის თბილისის “დინამო” სტადიონი.

“დინამო” (თბილისი) – “ლოკომოტივი” (მოსკოვი) 1:0 (1:0).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა (მუჯირი, 55), ჩივაძე, ხიზანიშვილი, ჭილაია, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, ჩელებაძე (გუცაევი), 73), ყიფიანი, შენგელია.

“ლოკომოტივი”: ლეონოვი, საუხი, ალექსანდროვი, კამზულინი, შიშკინი (ბონდარი, 84), კალაიჩევი, პეტრაკოვი, ბადუსოვი (ბონდარი, 82), კუზნეცოვი, ავერიანოვი, სლობოდიანი.

მსაჯი: ა. პოლიკანოვი (ლენინგრადი).

ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატი ფინიშის სწორზე გავიდა. ხშირად ასპარეზობის ამ ეტაპზე უკვე გამოკვეთილია როგორც ოქროს მედლების მომავალ მფლობელთა, ასევე პრიზიორთა კონტურები. ამჯერად კი ყველაფერი წინ არის. ახლა იმის თქმა, შეიძლება, რომ პირველ სამეულში გასვლისთვის ხმა აღიმაღლეს ისეთმა კოლექტივებმა – ცსკა, “ზენიტი”, რომლებიც ბოლო ჩემპიონატებში ერთგვარად ჩრდილში იდგნენ.

მთავარი ბრძოლა კი კიევის “დინამოსა” და “სპარტაკს” შორის მიმდინარეობს, რომლებიც საგრძნობლად მოწყდნენ დანარჩენ კონკურენტებს და მათ მესამე ადგილის მოპოვების შანსებიღა დარჩათ (თუმცაღა სპორტში, განსაკუთრებით ფეხბურთში ყოველგვარი პროგნოზი ნაადრევია და შესაძლოა, რომ ყველაფერი ძირფესვიანად შეტრიალდეს). მათ შორის არის თბილისის “დინამო”, რომელმაც გუშინ საკუთარ მოედანზე “ლოკომოტივი” მიიღო. ეს გუნდი ამ ბოლო ხანს ერთობ უხერხულ მეტოქედ იქცა ქართველ ფეხბურთლთათვის.

თამაში საკმაოდ ნელ ტემპში წარიმართა და სტუმრები ცდილობდნენ ბურთზე კონტროლი დაეწესებინათ. ამისათვის მათ დინამოელთა დისპეტჩერს ყიფიანს პერსონალური მეურვე მიუჩინეს (კამზულინი #4). მიუხედავად ამისა, მასპინძლები სჯობნიდნენ მეტოქეს ტექნიკაში და ბურთს უმეტესად ისინი ფლობდნენ. პირველი 15 წუთში კი ჩელებაძემ ორი საკმაოდ სახიფათო დარტყმა განახორციელა ლეონოვის კარში. 22–ე წუთზე კი რკინიგზელები ახერხებენ კონტრიერიშებზე გადასვლას, მაგრამ როგორც გამოირკვა, ეს მათი თავდაცვითი რიგების გამოხშირვა უფრო იყო, რითაც უმალ ისარგებლეს დინამოელებმა და აქვე სახიფათოდ შეუტიეს გაშლილი ფრონტით “ლოკომოტივის” კარს, რასაც კარისკენ შენგელიას სახიფათო დარტყმა მოჰყვა, რომელიც კალაიჩევმა (#6) საკუთრ ბადეში ჩაჭრა – 1:0. დაწინაურდნენ მასპინძლები. ეს შეხვედრის 36–ე წუთზე მოხდა და აქვე ორი წუთის შემდეგ დინამოელები კვლავ გარღვევაზე არიან, მაგრამ სულაქველიძის სოლო–რეიდს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან მეტოქის მცველმა საკმაოდ აკრძალული ილეთით შეაჩერა იგი…

შესვენების შემდეგ სტუმრებმა თამაშში გარდატეხის შეტანა სცადეს, მაგრამ ამაოდ – დინამოელთა დაცვა ზუსტად მოქმედებდა. პირველი ტაიმის ანგარიში მსაჯის საფინალო სასტვენამდე ძალაში დარჩა და გაიმარჯვა “დინამომ”.

ჭ. უნგიაძე.

“ლელო”, 28 სექტემბერი, 1980 წ.